სტრესთან დაკავშირებული აშლილობები, სუბკლინიკური მდგომარეობები და COVID-19

თამარ ბოლქვაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოტრავმატოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფსიქიკური ჯანმრთელობის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ჯანა ჯავახიშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ ბოლქვაძე

29.01.2021

აბსტრაქტი

კოვიდ-19-ის გლობალურ პანდემიასთან დაკავშირებულმა სტრესორების კომპლექსურმა სისტემამ მოსახლეობა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების, მათ შორის სტრესთან დაკავშირებული აშლილობების რისკების წინაშე დააყენა. წინამდებარე კვლევის მიზანია კოვიდ-19-ის ზეგავლენის შესწავლა სტრესთან დაკავშირებულ აშლილობებთან და სუბკლინიკურ მდგომარეობებთან მიმართებაში.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს მეორად მონაცემთა ანალიზს და ეფუძნება კვლევას „კოვიდ-19-ის გავლენა ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე საქართველოში", რომელშიც მონაწილეობა მიიღო 2,088 რესპოდენტმა.

მეორად მონაცემთა ანალიზმა აჩვენა ნაკვლევ პოპულაციაში სტრესთან დაკავშირებული აშლილობების, კერძოდ პოსტტრავმული სტრესული და ადაპტაციური აშლილობების კომორბიდობის (11.9%), სუბკლინიკური პტსა-ს (11.8%) და სუბკლინიკური ადაპტაციური აშლილობების (17.2%) პრევალენტობის მაღალი მაჩვენებლები. ასევე კვლევის შედეგად გამოვლინდა კოვიდ-19-ის პანდემიის პირობებში სტრესთან დაკავშირებული აშლილობების დამცავი ფაქტორები: სრული უმაღლესი განათლება, სახლის გარეთ მუშაობა და ე.წ. მაღალი რისკის პროფესიებით მუშაობა; დ ა რისკის ფაქტორები: სომატური ჯანმრთელობის პრობლემები (მათ შორის ქრონიკული დაავადებები) და პტსა-სთვის 70 და მეტი წლის ასაკობრივი ჭრილი.

მნიშვნელოვანია შემუშავდეს ფსიქოსოციალური მხარდაჭერის სპეციალური პროგრამები მოწყვლადი ჯგუფებისთვის, სადაც ყურადღება გამახვილდება როგორც სტრესთან დაკავშირებულ აშლილობებზე, ასევე მათ სუბკლინიკურ მდგომარეობებზე. ასევე, მნიშვნელოვანია პანდემიის მართვის იმგვარი სტრატეგიების შემუშავება, რომლის პირობებშიც მოსახლეობა შეძლებს ფსიქიკური ჯანმრთელობის შენარჩუნებას.

საძიებო სიტყვები: კოვიდ-19, ფსიქიკური ჯანმრთელობა, სტრესთან დაკავშირებული აშლილობები, სუბლინიკური მდგომარეობა, პოსტტრავმული სტრესული აშლილობა (პტსა), ადაპტაციური აშლილობები.

Abstract

Resent studies have shown that multi-layered system of stressors related to the COVID-19 global pandemic increased the risk for mental health problems, including stress-related disorders. The aim of this study is to contribute to the topic by examining the influence of COVID-19 on stress-related disorders and subclinical conditions. This is done through secondary quantitative data analysis. The data is obtained by the study „The influence of COVID-19 on mental health in the Republic of Georgia" with 2,088 participants.

The analysis showed high comorbidity of post-traumatic stress disorder and adjustment disorders (11.9%) as well as high prevalence of subclinical PTSD (11.8%) and subclinical adjustment disorders (17.2%). The study further identified protective factors for stress-related disorders. Such are, having completed higher education, leaving the house for work and having a high-risk profession. Risk factors are pre-existing physical health conditions (including chronic diseases) and for PTSD being over 70 years of age.

It is recommended to develop psychosocial support programs for vulnerable groups, focusing on both stress-related disorders and their subclinical conditions. It is also important to develop public-management strategies supporting mental health.

Key words: COVID-19, mental health, stress-related disorders, subclinical conditions, post-traumatic stress disorder (PTSD), adjustment disorders

მადლობა

პირველ რიგში, მინდა მადლიერება გამოვხატო ჩემი ხელმძღვანელის, ქ-ნი ჯანა ჯავახიშვილის მიმართ, მნიშვნელოვანი უკუკავშირის, ყურადღებისა და გამხნევებისთვის. დიდ მადლობას ვუხდი ქალბატონ ნინო მახაშვილს სამაგისტრო თემის არჩევაში დახმარებისა და ზრუნვისთვის. ასევე, მადლობას ვუხდი ქალბატონ ქეთი ფილაურს და რუსუდან ბადრიაშვილს ნაშრომზე მუშაობის პროცესში გაწეული დახმარებისთვის.

მადლობა იოჰანეს კაზერას სტატისტიკურ ანალიზში დახმარებისთვის, მუდმივი მხარდაჭერისა და გამხნევებისთვის.